დასკვნა:**დ05. 37262364**

თარიღი:**24/08/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიამ იმსჯელა დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მიზანშეწონილობისა და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

კომისიის შეფასებით, წარმოდგენილი ცვლილებები ემსახურება მოქმედი დადგენილების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის პროცესის მოწესრიგებას, ასევე უფლებამოსილ პირთა უფლებამოსილებების მკაფიოდ განსაზღვრას.

კომისიამ დაადგინა:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემდგომი განხილვა.

2. საკითხი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მზადაა წარედგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მარიგა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი